Deutsche Welle Akademie
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

მისალმება

ძვირფასო მონაწილეებო,

დიდი მადლობა, რომ დაინტერესდით ჩვენი კონფერენციით. „მედიის კანონი #2014! ქართულ-ევროპული პერსპექტივები“ დოიჩე ველე აკადემიის და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე ერთობლივი საერთაშორისო კონფერენციაა, რომელიც მედია სამართლის აქტუალურ საკითხებს ეძღვნება.

ამ ღონისძიების მიზანია არა მარტო ცოდნის და გამოცდილების ტრანსფერი მედია სამართლის სფეროში, არამედ, დისკუსიის შედეგად, სამხრეთ კავკასიის მედია ლანდშაფტის განვითარებისთვის ერთობლივი ხედვის და სტრატეგიის შემუშავება.

მედიის თავისუფლების ხარისხი ქვეყნის დემოკრატიის მნიშვნელოვანი ინდიკატორია. კავკასიის რეგიონში საქართველოს გააჩნია ლიბერალური მედიის კანონები, მაგრამ არსებობს სირთულეები ამ კანონების აღსრულების კუთხით. გარდა მედიაზე არასასურველი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენებისა, საქმეს ართულებს ცოდნის და ექსპერტიზის ნაკლებობა, არასაკმარისი თანამშრომლობა ჟურნალისტებსა და იურისტებს შორის. ჩვენი კონფერენცია ზუსტად ამ პრობლემებზეა ფოკუსირებული.

სასიხარულოა, რომ ღონისძიებაში ჩართულია ცნობილი პროფესორი, დოქტორ კარლ-ებერჰარდ ჰაინი, კიოლნის უნივერსიტეტის მედიისა და კომუნიკაციის სამართლის ინსტიტუტის ხელმღვანელი. სწორედ მან, გერმანიაში შეძლო დაემტკიცებინა, რომ ხელშეკრულება გერმანიის საზოგადოებრივ არხს „ZDF“-სა და სახელმწიფოს შორის იყო არაკონსტიტუციური (ანუ, პოლიტიკოსებს რჩებოდათ შესაძლებლობა ზეგავლენა მოეხდინათ აღნიშნული არხის საქმიანობაზე) . სწორედ პროფესორ ჰაინის ძალისხმევით, ხუთწლიან ბრძოლის შემდეგ, შეიცვალა ZDF-სა და სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულება.

კონფერენციაში ასევე მონაწილეობენ დოქტორ პეტერ ნიპალა (დოიჩე ველეს იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი), ტომას ვირნი და შტეფანი ეგერათი (კიოლნის უნივერსიტეტის მედიისა და კომუნიკაციის სამართლის ინსტიტუტი).

წინ კონფერენციის ორი საინტერესო დღე და დისკუსია გველოდება. შემოგვიერთდით!

Deutsche Welle Akademie
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Media Rule #2014! მედიის კანონი #2014!

II საერთაშორისო კონფერენცია მედია სამართალში: ქართულ-ევროპული პერსპექტივები

ადგილი და თარიღი: თბილისი, 8-9 ოქტომბერი, 2014, თსუ, პირველი კორპუსი, ივანე ჯავახიშვილის დარბაზი

პროგრამა

ოთხშაბათი, 8 ოქტომბერი, 2014

09:30 - 10:00	რეგისტრაცია		
10:00 - 10:15	მისალმება	**ვლადიმერ პაპავა,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი **მარიამ გერსამია,** თსუ-ს პროფესორი, ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელი **ბეტინა რუიგის,** დოიჩე ველე აკადემიის აზიისა და ევროპის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე **ირაკლი ბურდული,** თსუ-ს პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი **თამარ მახარაძე** - თსუ-ს ასოცირებული პროფესორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	**აუდიტორია 107 (ივანე ჯავახიშვილის დარბაზი)**
10:15 - 11:45	**მედიის ფუნქცია თავისუფალ და დემოკრატიულ საზოგადოებაში** **სესიის ფოკუსი:** მედიის გარეშე თავისუფალი აზრის ფორმირება და შესაბამიად, დემოკრატიის განვითარება შეუძლებელია. მედია გვთავაზობს როგორც ფაქტებს, ასევე მოსაზრებებს და შეფასებებს იმისათვის, რომ მოქალაქემ შეძლოს გადაწყვეტილების თავისუფლად მიღება. მედია უნდა იყოს ობიექტური და ემსახურებოდეს საზოგადოებას. კანონმდებელმა უნდა იზრუნოს, რომ მედიამ თავისი ფუნქციის მესრულების პროცესში, რაც შეიძლება მეტად შეძლოს ხელისუფლებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფებისგან დისტანცირება. ინტერესთა კონფლიქტი, მთელს მსოფლიოში, ხელს უშლის თავისუფალი მედიის განვითარებას. თავის მოხსენებაში პროფესორ ჰაინი არა მხოლოდ გერმანიის მაგალითს განიხილავს, არამედ დისკუსიის საშუალებით,	**მომხსენებელი - პროფ. კარლ-ე, ჰაინი (Prof. Dr. Karl-E. Hain),** კიოლნის უნივერსიტეტის მედია და კომუნიკაციის სამართლის ინსტიტუტის ხელმძღვანელი **კომენტატორი - მამუკა ანდღულაძე,** „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ უფროსი ანალიტიკოსი **მოდერატორი - მარიამ გერსამია,** თსუ-ს პროფესორი, ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელი	**აუდიტორია 107 (ივანე ჯავახიშვილის დარბაზი)**

	მეეცდება გაავლოს პარალელები საქართველოსთან და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან.		
11:45 - 12:00	შესვენება: ყავა, ჩაი		**ნულოვანი სართული, ფოიე**
12:00 - 13:30	**საზოგადოებრივი მაუწყებლობის იურიდიული განყოფილება: ამოცანები და გამოცდილება** **სესიის ფოკუსი:** დოქტორი ნიპალა წარმოგვიდგენს დოიჩე ველეს იურიდიული დეპარტამენტის სტრუქტურას, ამოცანებს. ასევე, სხვა მაგალითებზე დაყრდნობით ისაუბრებს მედია ორგანიზაციების იურიდიული განყოფილებში არსებულ გამოწვევებზე, ჟურნალისტური და იურიდიული საქმიანობის ურთიერთდაკავშირებულ ფუნქციებზე.	**მომხსენებელი - დოქტორ პეტერ ნიპალა (Dr. Peter Niepalla),** დოიჩე ველეს იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი **კომენტატორი - მამუკა ანდღულაძე,** „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ უფროსი ანალიტიკოსი **მოდერატორი - მარიამ გერსამია,** თსუ-ს პროფესორი, ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელი	**აუდიტორია 107 (ივანე ჯავახიშვილის დარბაზი)**
13:30 - 14:30	სადილი		**თსუ, კაფე: Good Food**
14:30 - 16:00	**ჟურნალისტების დაცვა ევროპის ადამიანთა უფლებების კონვენციის მეათე მუხლის ფარგლებში** **სესიის ფოკუსი:** 1999 წელს საქართველომ მოახდინა ადამიანთა უფლებების ევროპული კონვენციის რატიფიკაცია. ამით, საქართველოსთვის ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება გახდა სავალდებულო. ევროპის სასამართლო, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს ევროპის კონვენციის მეათე მუხლს. მოხსენებაში განხილული იქნება მაგალითები სასამართლოს პრაქტიკიდან, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება მაგალითებზე, რომლებიც უკავშირდება ჟურნალისტის უფლებების დაცვას.	**მომხსენებელი - ასისტენტ-იურისტი სტეფანი ეგერათი (Stephanie Eggerath),** კიოლნის უნივერსიტეტის მედია და კომუნიკაციის სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი **კომენტატორი - ზურაბ მაჭარაძე,** თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი და დოქტორანტი. **მოდერატორი - მარიამ გერსამია,** თსუ-ს პროფესორი, ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელი	**აუდიტორია 107 (ივანე ჯავახიშვილის დარბაზი)**
17:00	საზეიმო მიღება (მოსაწვევით)		**თსუ, I კორპუსი, მეორე სართული, სააქტო დარბაზის ფოიე**

Deutsche Welle Akademie
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ხუთშაბათი, 9 ოქტომბერი, 2014

10:00 - 11:30	**რეკლამა და სპონსორობა კერძო მაუწყებლობის დაფინანსებაში - მოკლე ექსკურსი: ევროპის კოდექსი აუდიო-ვიზუალური მედია საშუალებისთვის.** რეკლამა და სპონსორობა მედიის (განსაკუთრებით კომერციული მედიის) დაფინანსების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა, პარალელურად, მედიამ უნდა დაიცვას გარკვეული წესები და კანონები (მაგალითად, მომხმარებელთა უფლებები). ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიკაციით (კერძოდ, Annex XXXIII), გარკვეული მოთხოვნები უკვე ქართული მედიისთვისაც გახდა სავალდებულო. თავის მოხსენებაში ტომას ვირნი რეკლამისთვისა და სპონსორობისთვის მნიშვნელოვან რეგულაციებს წარმოგვიდგენს და საშუალებას მოგვცემს, ვიმსჯელოთ ჩვენთვის საჭირო შესაბამის მექანიზმებზე.	**მომხსენებელი - იურისტი ტომას ვირნი (Thomas Wierny),** კიოლნის უნივერსიტეტის მედიისა და კომუნიკაციის სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი **კომენტატორი - სერგი ჯორბენაძე,** იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი და ლექტორი, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. შპს „როდლი და პარტნიორების“ უფროსი იურისტი, ადვოკატი. **მოდერატორი - მარიამ გერსამია,** პროფესორი, ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელი	**აუდიტორია 107 (ივანე ჯავახიშვილის დარბაზი)**
11:30 - 11:45	დასასრული: ჩაი, ყავა		**ნულოვანი სართული, ფოიე**

მთავარი მომხსენებლები:

პროფესორი დოქტორ კარლ-ებერჰარდ ჰაინი (Prof.-Dr. Karl-Eberhard Hain)

გისენში, იუსტუს-ლიბიხ უნივერსიტეტის იურიდიული მეცნიერების მიმართულებაზე სწავლის დამთავრების შემდეგ, 1993 წელს პროფესორმა ჰაინმა დისერტაცია დაიცვა თემაზე "მაუწყებლობის თავისუფლება და ორგანიზება". 1998 წელს დაამთავრა პოსტ-დოქტორანტურა. მისი თემა იყო "კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები". მოღვაწეობდა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში გიოთინგენში, ფრაიბურგსა და ბრემენში. 2003-2008 წლებში იყო იოხანეს-გუტენბერგის სახელობის მაინცის უნივერსიტეტის სამართლის და ეკონომიკის მეცნიერების მიმართულების პროფესორი. 2008 წლიდან ხელმძღვანელობს კიოლნის უნივერსიტეტის საჯარო და მედია სამართლის მიმართულებას. არის კიოლნის უნივერსიტეტის მედია და კომუნიკაციის სამართლის ინსტიტუტის და ასევე, მაუწყებლობის ინსტიტუტის დირექტორი. 2012 წლის არის გიოთინგენის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

დოქტორ პეტერ ნიპალა (Dr. Peter Niepalla)

დოქტორი ნიპალა არის დოიჩე ველეს იურისტი. მის ფუნქციაში შედის როგორც ლიცენზიების, ასევე შრომითი ურთიერთობისა და ხელშეკრულებების გაფორმება. არის კიოლნის ინსტიტუტის და ბონ-რაინ-სიგის ინსტიტუტების ასისტენტ-პროფესორი. არის შრომის და მედია სამართალში სხვადასხვა ნაშრომების ავტორი. დოქტორი ნიპალა დოიჩე ველე აკადემიის სამაგისტრო პროგრამაში ("International Media Studies") ასწავლის მედია სამართალს.

იურისტი ტომას ვირნი (Dipl.-Jur. Thomas Wierny)

ტომას ვირნი 2005-2011 წლებში სწავლობდა სამართალმცოდნეობას მიუნსტერისა და ბონის უნივერსიტეტებში. 2011 წლიდან არის კიოლნის უნივერსიტეტის მედიის და კომუნიკაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი და დოქტორანტი. ტომას ვირნი უკვე აქვს საქართველოში მუშაობის გამოცდილება: 2014 წლის ივნისში, გერმანიის ფონდის სახელით, ხელმძღვანელობდა საკონსტიტუციო მოსამართლეებისა და ლექტორების სემინარს ყვარელში; ასევე 2012-2014 წლებში კითხულობდა ლექციებს თსუ-სა და კიოლნის უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის "გერმანული სამართალი" ფარგლებში (DAAD-ს მიერ მხარდაჭერით).

ასისტენტ-იურისტი სტეფანი ეგერათი (Ass. iur. Stephanie Eggerath)

სტეფანი ეგერათი იურიდიულ განათლებას დაეუფლა ჰაიდელბერგში, პიცბურგისა და კიოლნის უნივერსიტეტებში. 2010 წლიდან არის კიოლნის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი და დოქტორანტი. კიოლნის უნივერსიტეტში მისი სპეციალიზაცია არის ევროპული მედია სამართალი. გარდა ამისა, მუშაობს გერმანულ კერძო მაუწყებლობაში "RTL" მედია პოლიტიკის განყოფილებაში.

ორგანიზატორები:

DW აკადემია

- **ბეტინა რუიგის,** აზიისა და ევროპის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე
- **პეტრა რაშკევიჩი,** პროექტების მენეჯერი
- **ამალია ოგანჯანიანი,** პროექტის მენეჯერი საქართველოში

თსუ

- **მარიამ გერსამია,** პროფესორი, ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელი;
- **მორის შალიკაშვილი,** თსუ-ს ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;

საკონტაქტო პირები: ამალია ოგანჯანიანი/ +995 558 499 587 / amalia.oganjanyan@dw.de

Deutsche Welle Akademie
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

მარიამ გერსამია/ + 995 577 171 107/ mariam.gersamia@gmail.com